საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-428

21/05/2020

ქ. თბილისი

კასპის მუნიციპალიტეტში, შპს „ჯი პი პის'' მეფრინველეობის ფერმის, ფრინველის სასაკლაოს და ინსინერატორის (სახიფათო ნარჩენების ინსინერაცია) მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის I დანართის მე-16 და 24-ე პუნქტების და II დანართის მე-7 პუნქტის 7.6 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, კასპის მუნიციპალიტეტში, შპს „ჯი პი პის'' მეფრინველეობის ფერმის, ფრინველის სასაკლაოს და ინსინერატორის (სახიფათო ნარჩენების ინსინერაცია) მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N42 (14.05.2020წ.);
2. შპს „ჯი პი პიმ'' სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N42 (14.05.2020წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჯი პი პის'';
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჯი პი პის'' მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და კასპის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი